შემფიცეთ, რომ არდაუდგენთ ალლაჰს არავის თანაზიარად, არ მოიპარავთ, არ იმრუშებთ

'უბადა იბნ ას-სამითი (ალლაჰი იყოს მასით კმაყოფილი), რომელიც ბადრის ბრძოლის მონაწილე და აყაბას ღამის ფიცის ერთ-ერთი წინამძღოლი იყო, გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომლის გარშემოც მისი რამდენიმე საჰაბა იყო შეკრებილი, თქვა: «შემფიცეთ, რომ არდაუდგენთ ალლაჰს არავის თანაზიარად, არ მოიპარავთ, არ იმრუშებთ, არ მოკლავთ თქვენს შვილებს, არ მოხვალთ ცილისწამებით, რომელსაც თვითონვე იგონებთ თქვენს ხელებსა და ფეხებს შორის, და არ ეურჩათ შარიათით სწორად მიჩნეულ საქმეებში . ვინც ამას დაიცავს, მისი საზღაური ალლაჰთანაა, ხოლო ვინც ამ დანაშაულთაგან რომელიმეს ჩაიდენს და ამქვეყნად დაისჯება, ეს იქნება მისი გამოსყიდვა. ხოლო ვინც ამას ჩაიდენს და ალლაჰის მიერ დაიფარება, მაშინ მისი საქმე ალლაჰთანაა – თუ ალლაჰი ისურვებს, აპატიებს, და თუ არა, დასჯის». მაშინ ჩვენ დავუდეთ ფიცი მას ამაზე.

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

'უბადა იბნ ას-სამითმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) რომელიც ბადრის დიდ ბრძოლას ესწრებოდა და იყო თავისი ხალხის უფროსი, იმათგან, ვინც წინ წარსდგა, რათა ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აყაბას ღამეს, მინაში, როცა ის მექაში იყო მედინაში ჰიჯრამდე, ერთგულება დაეფიცებინა, აცნობა, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის თანამოსაუბრეთ შორის იჯდა და მათ სთხოვა, რომ რამდენიმე საკითხზე შეეფიცათ მისთვის. პირველი: ალლაჰს თაყვანისცემაში არ დაუდგინონ არავინ და არაფერი, თუნდაც უმცირესად. მეორე: არ მოიპარონ. მესამე: არ ჩაიდინონ უბილწი მრუშობა. მეოთხე: არ მოკლან თავიანთი შვილები – ვაჟები სიღარიბის შიშით ან ქალიშვილები სირცხვილის შიშით. მეხუთე: არ მოვლენ სიცრუით, რომელსაც თვითონვე იგონებენ თავიანთი ხელებითა და ფეხებით, რადგან ქმედებათა უმეტესობა სწორედ მათით ხდება, თუნდაც სხეულის სხვა ნაწილებიც მონაწილეობდნენ. მეექვსე: არ ეურჩებიან ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კეთილ საქმეებში. ვინც ამ შეთანხმებას მტკიცედ დაიცავს და მას შეასრულებს, მისი საზღაური ალლაჰთანაა. ხოლო ვინც ამ ჩამოთვლილთაგან (გარდა შირქისა) რამეს ჩაიდენს და ამქვეყნად მასზე სასჯელი აღსრულდება, ეს იქნება მისი გამოსყიდვა და ამით ცოდვა მოიხსნება. ხოლო ვინც რამეს ჩაიდენს და ალლაჰი მას დაფარავს, მაშინ მისი საქმეც ალლაჰთანაა – თუ ალლაჰი ისურვებს აპატიებს, და თუ არა, დასჯის. მაშინ იქ მყოფებმა ყველამ ამაზე ფიცი დადეს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66210